ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი N 5

ქ.ცაგერი

03.08.2022

სხდომა დაიწყო 13:00სთ

სხდომას ხელმძღვანელობდა ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე -მარიკა კოპალიანი.

სხდომას ესწრებოდნენ : თამაზ ჭაბუკიანი, ონისე ჩაკვეტაძე,კარლო მუშკუდიანი, მამუკა ხაბულიანი, ზაზა ყურაშვილი, მანონი ახვლედიანი, ნატო ბურჯალიანი, თინათინ ნემსწვერიძე, აბესალომ თვარაძე, მარინე სვანიძე.

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ : რევაზ ახვლედიანი, (თვითიზოლაცია) , მაგდანა ყურაშვილი (შვებულება) , დავით ჩაკვეტაძე, შორენა დვალი, ნინო ტვილდიანი,ირმა ყურაშვილი.

დღის წესრიგი

1. ინფორმაცია- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საქმეში შეტანილი წვლილისთვის მადლობის გამოცხადების წესის შესახებ.

2. ინფორმაცია - „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში .

3. ინფორმაცია- „გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა",- აქტივობა, მობილიზაცია და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა.

4. გენდერული თანასწორობის საბჭოების ლოგოები.

5. გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტირება.

6. ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გაწეული მუშაობა 6 თვის განმავლობაში .

7. სხვადასხვა.

დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით .

მოისმინეს : გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველი , მეორე, მესამე საკითხები ინფორმაციის სახით.

მეოთხე საკითხად განხილულ იქნა ათეას აღმასრულებელი დირექტორის ქ-ნი ნათია ღვინიაშვილის წერილი მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების სიმბოლოების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მ.სვანიძე-კარგი იქნება გამოვიყენოთ რუსთაველის გამონათქვამი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

ცაგერის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ერთობლივად აღნიშნულ საკითხზე და გადაწყვიტეს: ლოგო ყველა მუნიციპალიტეტისთვის იყოს ერთნაირი და მათ ერთმანეთისაგან განასხვავებდეს თავად მუნიციპალიტეტის სახელწოდება, რომელიც ამ ლოგოზე იქნება დატანილი.

მე-5 საკითხად ქ-ნი ნინო წილოსანის მიმართვა საკრებულოს თავმჯდომარეებისადმი, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ითხოვს გენდერული საბჭოების ბიუჯეტირებას.(31.05.2022 . 4869/4-1/22) .

საბჭოს გადაწყვეტილებით ,რადგან მიმდინარე წელს ვერ ხერხდება ბიუჯეტში ცვლილება ,აღნიშნულზე ეთხოვა საკრებულოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს , გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრს ბატონ კარლო მუშკუდიანს, მოამზადოს გენდერული საბჭოს ბიუჯეტირების პროექტი 2023 წლის ბიუჯეტისთვის ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით .

საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა მოხსენება 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ მ.კოპალიანმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის

საბჭოს თავმჯდომარე: /მ.კოპალიანი/

მდივანი: /თ.ნემსწვერიძე/

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

№ რიგზე	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1	მარიკა კოპალიანი	
2	მაგდანა ყურაშვილი	
3	თამაზ ჭაბუკიანი	
4	ონისე ჩაკვეტაძე	
5	კარლო მუშკუდიანი	
6	მამუკა ხაბულიანი	
7	ზაზა ყურაშვილი	
8	მანონი ახვლედიანი	
9	ნატო ბურჯალიანი	
10	თინათინ ნემსწვერიძე	
11	ბესო თვარაძე	
12	ირმა ყურაშვილი	
13	დავით ჩაკვეტაძე	
14	შორენა დვალი	
15	ნინო ტვილდიანი	
16	მარინე სვანიძე	
17	რევაზ ახვლედიანი	